
ქ.თბილისი

მირზა შაფის ქუჩა №5-ში მდებარე ნაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის მხატვრულ-ისტორიული და არქიტექტურული კვლევა










დამკვეთი:
"კაუკაზუს როუდ პროჯექტ"

შემსრულებელი:
შ.პ.ს. "არქიტექტორები.ჯი"


თბილისი
2012

ქ.თბილისი
მირზა შაფის ქუჩა №5-ში
მდებარე ნაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის
მხატვრულ-ისტორიული და არქიტექტურული კვლევა



საკვლევი ტერიტორია (ნაკვეთი) მდებარეობს **მირზა შაფის ქუჩა №5-ში, რომელიც შედის ძველი თბილისის ადმინისტრაციულ რაიონში.** უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ტერიტორია ნაწილობრივ შედის ქალაქ თბილისის ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის საზღვარებში და ნაწილობრივ - ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონის საძღვარში. ტერიტორია ცარილია.

წარმოდგენილი კვლევა შესრულდა საკვლევ ტერიტორიაზე ახალი მშენებლობის (მრავალფუნქციური შენობა - საზოგადოებრივი და საცხოვრებელი) პროექტირებისათვის.





ფოტო 2011 წ.

ჩვენი საკვლევი ტერიტორია, რომელიც განლაგებულია აბანოთუბანში, მირზა შაფის ქუჩის ციცაბო აღმართზე, ი.გრიშაშვილის ქუჩიდან რამდენიმე მეტრზე, გეგმარებით არასწორი წაგრძელებული ფორმისაა. თვით საკვლევი ნაკვეთი მდებარეობს ციცაბო რელიეფზე, რომლის ერთი გრძივი მხარე შემოსაზღვრულია უშუალოდ მირზა შაფის ქუჩით, ხილო დანარჩენი მხარეები შემოსაზღვრულია საყრდენი კედლებით, რომლებიც შესრულებულია შერეული წყობით (სხვადასხვა ზომის აგურით, რიყის ქვით და ვულკანური წარმოშობის ფლეთილი ქვით). რთული კონფიგურაციის ეს კედელი გამოყოფს საკვლევ ნაკვეთს გოგირდის აბანოების შენობებისაგან.





თბილისი ხედების ნახატები, XIX საუკუნის დასაწყისი


ჩვენი საკვლევი ტერიტორიის **განაშენიანების ისტორია** შემდეგია:

ვახუშტი ბაგრატიონის **1735** წლის გეგმის მიხედვით თბილისი შედგება 4 ნაწილისგან: მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე **კალა, გარეთუბანი** და **სეიდაბადი**; ხოლო მარცხენა სანაპიროზე **ავლაბარი** *(ან "ისანი").* **კალა** თავის მხრივ გაყოფილია 2 ნაწილად, რომლიდანაც მცირე ნაწილი უკავია მეტეხის პირდაპირ მდებარე მთავარ ციხესიმაგრეს, რომელიც თავის მხრივ იყოფა 2 ნაწილად: **ქვედა** და **ზედა** ციხესიმაგრედ. ზედა ***("ციტადელი")*** – ციხესიმაგრის წმინდა





თბილისი ხედების ნახატები, XIX საუკუნის დასაწყისი

ნიკოლოზის სახელობის ეკლესია და ". . . სამეფო სასახლე, უზარმაზარი, შესანიშნავი დარბაზებით, რომელიც მეფე როსტომმა დაუთმო სპარსელებს . . .", ქვედა ნაწილში განთავსებული იყო საცხოვრებელი კვარტალები, სადაც შეიძლება მოხვედრილიყავით ორი ჭიშკრით: სამხრეთით – **"განჯის კარით"** და დასავლეთით – ეგრეთ წოდებული **"აბანოს კარით"**.



თბილისის რუკა 1735 წ.




თბილისის რუკა 1782 წ.

საკვლევი ტერიტორია (ბაღები)

აბანოს კარი - აღმოსავლეთიდან თბილისისკენ მომავალი განჯის გზა დღევანდელი გრიშაშვილის ქუჩის ხაზს აჰყვებოდა, შემდეგ ორად იყოფოდა: ერთი ტოტი ლელვთახევის პირას განლაგებულ ბაღებს უქცევდა მხარს და სამხრეთიდან მიადგებოდა განჯის კარს. გზის მეორე განშტოება დაღმა ჩაყვებოდა გრიშაშვილის ქუჩის ხაზს და აბანოების უბანში წავკისის წყალზე გადებული ხიდის მეშვეობით, ქალაქის გალავნის აღმოსავლეთ კედელში გაჭრილ აბანოს კართან მთავრდებოდა. მისი სახელწოდება სწორად იმით აიხსნება, რომ იგი აბანოების უბნისაკენ იყო მიმართული. აბანოს კარი დაახლოებით ახლანდელი გრიშაშვილის ქუჩის ღერძზე მდებარეობდა.

კალას უბანს ორი მხრიდან ეკვროდა გარეუბნები: ჩრდილოეთიდან – **გარეთუბანი** და აღმოსავლეთიდან – შედარებით მცირე ფართის **სეიდაბადი** ***(“აბანოების უბანი”).*** მონგოლების შემოსევის შემდეგ, სეიდაბადის დიდი ნაწილი, ოდესღაც მჭიდროდ დასახლებული დაიფარა ვრცელი ბაღებით. ბაღები ძირითადად ეკუთვნოდათ სამეფო ოჯახის წევრებს და მმართველი წრის წარმომადგენლებს. ქალაქის კედლის ჩრდილოეთით, სოლოლაკის ქედის გადაღმა, წავკისის წყლის ხეობაში იყო ბაღები დასახელებით «Крепостные» - ეს ბაღები სამეფო გვარის წარმომადგენლების იყო. მოგვიანებით **1820-30** წლებში აღნიშნული ბაღები პოპულარობით სარგებლობდა თბილისის მოქალაქეებს შორის, სადაც ეწყობოდა პიკნიკები, გასეირნებები და ქეიფები. ჩვენი საკვლევი ნაკვეთი სწორად ამ ყოფილი ბაღის ნაწილია.



თბილისის რუკა 1801 წ. **თბილისის რუკა 1802 წ.**

1840-იან წლებში ამ ბაღების დიდი ნაწილი გადადის ხაზინის მფლობელობაში, რის შემდეგაც აქ დაიწყო **ბოტანიკური ბაღის** მოწყობა, რომლის ერთ-ერთი მთავარი შესასვლელი გაკეთდა ბოტანიკური ქუჩის ჩიხიდან, რომელიც ადის აბანოებიდან ნარიყალას ციტადელის კედლების გასწვრივ.

ფოტო 2010 წ.




ციტადელის ადგილმდებარეობა შემთხვევითი როდია. ამ ადგილას მდინარის კალაპოტი ვიწროა. აქ ერთმანეთს უახლოვდებიან მდინარის კლდოვანი ნაპირები და წარმოქმნიან სტრატეგიულად მეტად ხელსაყრელ ადგილს. სწორად სტრატეგიულმა მნიშვნელობამ განაპირობა ციხე-სიმაგრის დაარსება და შემდგომში ქალაქის განვითარება. თბილისის ნარიყალა მიუდგომელი იყო. ამაზე მრავალი საბუთი მიუთითებს.

თბილისის ციტადელის კლდეები და კოშკები არაერთხელ დანგრეულა, აღდგენილა და გადაკეთებულა. დღემდე მოღწეული ფრაგმენტები სხვადასხვა პერიოდს ეკუთვნის. ამას მოწმობს წყობის ხასიათი, საკედლე მასალა, დუღაბი. ყველაზე ძველ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარე კოშკის ფრაგმენტი, რომელიც თლილი ქვითაა ამოყვანილი.

ნარიყალას ორი **მიწისქვეშა გასასვლელი** ჰქონდა, მტკვრისა და წავკისის წყლისაკენ. ეს გასასვლელები დატანილია თბილისის **1800** წლის გეგმაზე. ამავე გეგმაზე *(ისევ, როგორც **1735** წ. "ვახუშტის" გეგმაზე)* დატანილია **ეკლესიაც**. იგი **XIX** საუკუნის დასაწყისში თოფის წამლის საწყობად უქცევიათ და რომელიც **1827** წელს აფეთქებულა. ციხის ეკლესიის ადგილას **1966** წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოჩნდა ადრინდელი *XIII* საუკუნის ეკლესიის ნაშთები – ზუსტად ამ ნაშთების საფუძველზე **1990** წლებში აშენებული იყო დღევანდელი **წმ. ნიკოლოზის ეკლესია**. თვით ქალაქის ციხე-სიმაგრე **ნარიყალაზეც** ჩატარებული იყო **სარესტავრაციო სამუშაოები 1980-90** წლებში არქიტექტორ-რესტავრატორ *თ.კიპაროიძის* ხელმძვანელობით *(ინჟინერი – მ. ცენტერაძე)*

ფოტო XIX საუკუნის ბოლო




"სეიდაბადი", ანუ **"აბანოების უბანი"** თბილისის უძველესი ნაწილია. ამ ადგილზე წარმოიშვა პირველი დასახლება, აქ დაირწა თბილისის აკვანი. ამ უბანს და მიმდებარე ტერიტორიას საკუთრივ **ტფილისს** უწოდებდნენ, იგი უშუალოდ ემიჯნებოდა ქალაქის ციხეს – კალას. აბანოების უბანში და მის

მიმდებარე სეიდაბადში *(დასახელება გვიანდელია)* შუა საუკუნეებში უმეტესად სპარსელები სახლობდნენ. ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ *"ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ, არს მით აბანო ექვსნი აქ და სხა შესეფიმ სეიდნი, მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს"* და შემდეგ: *"... არიან მსახლობელი ციხის და სეიდაბადს სპარსი მაჰმადიანი"*. ვახუშტი ბაგრატიონი აბანოების უბანს სეიდაბადის ერთ ნაწილად წარმოდგვიდგენს. პორუჩიკ ჩუიკოს მიერ შედგენილ **1800** წლის გეგმაზე კი მხოლოდ აბანოების უბანია ნაჩვენები, რადგან სეიდაბადის დანარჩენი ტერიტორია ამ დროისთვის დასახლებული აღარა ჩანს და მთლიანად ბაღებითაა დაფარული.

აბანოების უბანი იწყება გორგასლის მოედნის ქვევიდან და ვრცელდება მდინარე წავკისის წყლის ხეობაში და თაბორის მთის კალთების მცირე მონაკვეთზე – მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. თაბორის მთებიდან მოდის გოგირდის წყაროების სათავეებიც.

ვახუშტი ქალაქში **6** აბანოს ითვლიდა. ღოგორც ჩანს, ზოგიერთი მათგანი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევებს შეეწირა, რადგან **1800** წელს მხოლოდ **4** აბანოა ამ უბანში აღნიშნული. **1867** წლის თბილისის გეგმაზე კვლავ **6** აბანოა დატანილი.




თბილისის რუკა 1902 წ. თბილისის რუკა 1907 წ. თბილისის რუკა 1913 წ.

თბილისის გოგირდის *თბილი წყლები* მაღალი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა. ძველი თბილისის აბანოებს მხოლოდ ჰიგიენური დანიშნულება როდი ჰქონიათ. ისინი გარკვეულ წილად საზოგადოებრივ დანიშნულებასაც ასრულებდნენ. აბანოებში დროსტარება ხშირად ფინალი იყო თბილისელი მოქეიფე ბოჰემისათვის. ბაღებში დაწყებული ქეიფი აბანოებში მთავრდებოდა ხოლმე. აბანოს დარბაზებში ეწყობოდა ქეიფები და ქორწილებიც კი.

თერმიული წყაროები განლაგებულია მდინარე მტკვრის ორივე მხარეს, მაგრამ უმთავრესად ("გოგილოს" და "ჩიტახევის" წყაროების გარდა) - მარჯვენა სანაპიროზე - სეიდაბადის ფერდობის ჩრდილო-დასავლეთის ფრთაზე. ნაკვეთი, რომელზეც განლაგებულია თერმიული წყაროები, შემოსაზღვრულია ერთის მხვრივ მდინარე ლეღვთა-ხევით და მირზა შაფის ქუჩით და მეორეს მხვრივ - სეიდაბადის ციცაბო ფერდობით. თბილისის წყაროებისათვის დამახასიათებელია მეთანის მაღალი შემცველობა. წყაროების ტემპერატურა მერყეობს **24,0^{O} C**-დან "(გრილი" აბანო) - **47,5^{O} C**-მდე (ყოფილი "მირზოევის" აბანო).

საინტერესო ცნობებს ნახავთ მეფე გიორგი XI ნაჩუქრობის სიგელში, სადაც ნათქვამია, რომ აღმოსავლეთით მდებარეობს მეითარას აბანო, დასასავლეთით - ბებუთას აბანო, თაბორის მიმართულებით აბანოებს ეკვრის სამი სახლი. წყალი იქ საკმარისია. ხოლო სხვა ყველაფერი ცოტახნის წინაა მოწყობილიო და ეს ყოველთვის არსებობდაო. ამ სიგელიდან ვიგებთ არა მარტო აბანოების მდებარეობას, აგრეთვე იმასაც, რომ ერეკლეს აბანო ყველაზე ძველია, ჩვენამდე მოღწეულ აბანოებს შორის. ერეკლეს აბანოს დასახელება მოგვიანებით გაჩნდა, ის არაერთხელ იცვლიდა მფლობელებს და გადადიოდა სასულიერო მფლობელობიდან, სამეფო გვარის მფლობელობაში და პირიქით *(ამას ადასტურებს მეფე ლუარსაბის* **1549** *წლის და მეფე ვახტანგ V -* **1677** *წლის სიგელები).* ძველი აბანოებიდან ერეკლეს აბანოს გარდა აღსანიშნავია მეითარის აბანო, ენალის *აბანო (ენალა- ქალაქის მელიქი იყო* **1655-1672** *წლებში),* "გრილი" აბანო *(პატრუქის აბანო, №5)* – გორგასლის ქუჩაზე, ბებუთას აბანო (ბოლო დროს ე.წ. "გარნიზონის" აბანო). ყველა ესენი **XVII** საუკუნისაა.



აბანოებს, ძირითადად, **ირანული არქიტექტურის კვალი** გააჩნიათ (ეს **XVII** საუკუნის თბილისის არქიტექტურის ნიშანდობლივი თვისებათაგანია). ამ მხრივ დამახასიათებელია "ბებუთა"-ს *(იოსებ გრიშაშვილის ქუჩა,* 11 *კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის საალრიცხვო ბარათი № 010506183),* "მირზოევი"-ს *(იოსებ გრიშაშვილის ქუჩა,* 11 *კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის საალრიცხვო ბარათი № 010506215)* და "ჭრელი" (აბანოს ქუჩა №2, *კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის საალრიცხვო ბარათი № 010506225)* აბანოების საპარადო ფასადები. სამივე აბანო XIX საუკუნის მეორე ნახევარში გადაკეთდა აღმოსავლურ ყაიდაზე.



"ბებუთა"-ს აბანო



"მირზოევი"-ს აბანო



"ჭრელი" აბანო


აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ "ბებუთა"-ს და "მირზოევი"-ს აბანოებს მჭიდროდ ეკვრის ჩვენი საკვლევი ტერიტორია.

საბჭოთა წყობის დამყარების შემდეგ, გოგირდის წყლის სამკურნალო თვისებებიდან გამომდინარე, **1937** წელს აშენებული იქნა **ბალნეოლოგიური კურორტი** თავისი სააბაზანო შენობებით, კლასიციმის სტილის ხერხების გამოყენებით, რომელმაც დაიკავა მთელი კვარტალი *(არქიტექტორები – ი. ჟიტკოვსკი, მ. კალაშნიკოვი და ბ. კარბინი).* **1962** წელს იქვე აშენებული იქნა კურორტის ახალი კორპუსი *(არქიტექტორი – ი. ზაალიშვილი).*

ნარიყალას ციხის პირდაპირ წავკისის წყლის (დაბა-ხანის ან ლელვის-ხევის) ხევის გასწვრივ აღმართულია **თაბორის მთა,** რომელზეც ოდესღაც მდებარეობდა **თაბორის ციხე.** თბილისის ციხესიმაგრეები ერთიანდებოდნენ ზედმიწევნით მოფიქრებულ სისტემაში, რომელიც იყენებდა მთაგორიანი რელიეფის თავისებურებებს. ამ სისტემაში მეტად მნიშნელოვანი როლი

ენიჭებოდა თაბორის მთაზე განლაგებულ ციხეს *(მთა თრიალეთის ქედის განშტოებაა თბილისის სამხრეთით).* ციხე ფორტიფიკაციული სისტემის ფორფოსტი იყო აღმოსავლეთის მხრიდნ, საიდანაც ტრადიციულად ესხმოდნენ ქალაქს მტრები. იგი «დაკიდული» იყო განჯის გზის თავზე უშუალოდ კალას სიახლოვეს. თაბორის ციხე თავისი არსებობის გრძელ მანძილზე არაერთხელ დანგრეულა და კვლავ აღდგენილა. მის არსებობას «ქართლის ცხოვრება» მოწმობს. უკანასკნელად თაბორის ციხე დაანგრია აღა-მაჰმად-ხანმა და მას შემდეგ იგი აღარ განუახლებიათ. პორუჩიკ ჩუიკოს შეუსწრია მისი ნანგრევებისათვის და დაუტანია თბილისი **1800** წლის გეგმაზე : «Разоренное укрепление Корча-Кала». ”ყორჩი-კალა” დატანილია თბილისის **1809** წლის გეგმაზე თუმცა გვიანდელ გეგმებზე იგი აღარ ჩანს.

ციხეში ეკლესია მდგარა, რომელსაც “ღვთის ფერისცვალების” სახელით იხსენიებდნენ. ამასთან დაკავშირებით თვით თაბორის მთის სახელწოდების წარმოშობა, ისევე, როგორც “მთაწმინდა” დაკავშირებულია ქრისტიანულ “წმინდა” ადგილებთან. იერუსალიმში, თაბორის მთაზე მომხდარა ქრისტეს ფერისცვალება. აქედან მოდის თბილისის მთის და ციხეში აგებული ეკლესიის სახელები. ციხის ნაშთები უკვე აღარ ჩანს, მაგრამ **1972** წელს არქეოლოგიური ძიებისას მიაკვლიეს ციხის კვალს. დღეს ძველი ეკლესიის კვალის ადგილზე აგებულია ახალი, გუმბათოვანი ეკლესია (**2002-03** წწ.) და მოქმედებს მონასტერი.




ფოტო 2012 წ.

1980 წლის დასაწყისში ძველი თბილისის აქტიური რეკონსტრუქციის პერიოდში ძეგლთა დაცვის სამმართველოს მიერ, ი.ციციშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული იქნა **სარესტავრაციო სამუშაოები აბანოთ უბანში.** მიწის ქვეშა და მიწის ზედა აბანოების კომპლექსი აღდგენილი იქნა, მათი გარემომცველი საცხოვრებელი განაშენიანების ნაწილთან ერთად. ამასთან მოცილებული იქნა ზედმეტი ფენები (1980 წლისათვის "სამეფო" და "ერეკლეს" აბანოების გუმბათებზე დაშენებული იქნა საცხოვრებელი და სამეურნეო სათავსოები, ხოლო "მეითარის" აბანო საძირკვლებამდე იყო დანგრეული - **1953** წლის წყალდიდობების დროს მომხდარი ტრაგედიების შემდეგ - რის შემდეგაც 1960-იან წლებში მასზე დაშენებული იქნა რესტორანი). **1981-83** წლებში გახსნილი იქნა და დაკონსერვდა ძველი საყრდენი კედელი აგურის და ქვის

წყობით, რომელიც მოყოლილი იყო მიწის ქვეშ რამდენიმე ათეული წლის წინ ქვაფენილის დაგების დროს. "მეითარი"-ს აბანოს მოცულობები მთლიანად იქნა აღდგენილი. **1984** წელს აქ გაიხსნა "ახალგაზრდობის კლუბი". ამავე წლებში მუშაობის პროცესში აბანოს ქუჩაზე აღებული იქნა აბანოებზე მიკრული საცხოვრებელი სახლები და სათავსოები, რომელთა საძირკვლების კონტურებზე დაგებული იქნა ქვაფენილები (*სამწუხაროდ **2005** წელს აბანოს ქუჩა თავისი ამ სახით მთლიანად მოყვა ასფალტის საფარის ქვეშ.* აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1930-იანი წლებიდან - **1981** სლამდე "ბებუთა"-ს აბანო ექვემდებარებოდა ამიერკავკასიის სამხედრო უწყებას, მაღალი ჩინის ოფიცრებისათვის (რის გამოც "გარნიზონის" აბანოდ მოიხსენიებდნენ). **1981** წელს ის გადავიდა ქალაქის მუნიციპალიტეტის განკარგულებაში. იმავე წელს დაიწყო ამ აბანოს საკვლევი და სარესტავრაციო სამუშაოები *(გასუფთავებული და გამაგრებული იქნა საძირკვლის ნაწილი და გუმბათები; გამაგრებული იქნა საყრდენი კედელი, რომელიც ამჟამად ესაზღვრება ჩვენ საკვლევ ნაკვეთს; ნაწილობრივ დემონტირებული იქნა წყალშემკრები რეზერვუარები, რომლებიც დაყენებული იყო ჩვენ საკვლევ ნაკვეთზე).* შემდგომში აბანოს ქუჩის რეაბილიტაციის შემდეგ ზემოთ აღნიშნული სარესტავრაციო სამუშაოები შეჩერებული იქნა.

აბანოთ უბნის **საცხოვრებელი განაშენიანების** გეგმარებითმა სტრუქტურამ (მოგზაურების ჩანახატებით, საარქივო ფოტო-მასალებით), რთული რელიეფის გამო მოაღწია **XX** საუკუნის ბოლომდე თითქმის შეუცვლელად. შეიცვალა მხოლოდ სახურავის გადახურვის პრინციპი – **XIX** საუკუნის დასაწყისში ჭარბობდა ბანიანი სახლები, მაშინ ბრტყელი სახურავი ქვედა სახლებისა გამოყენებული იყო ღია ტერასებად ზედა სახლებისათვის. შემდგომში ასეთი გადახურვის სისტემა შეიცვალა ქანობიანი სახურავებით.

ფოტო XIX საუკუნის ბოლო



გრიშაშვილის ქუჩიდან, კრწანისის მიმართულებით პერპენდიკულარულად არის განლაგებული **მირზა-შაფის ქუჩა,** რომელის განლაგებულია თაბორის მთის ციცაბო აღმართზე. ამ ქუჩით შეიძლება მოხვდეთ საქართველოს აკადემიის ბიოლოგიის ინსტიტუტის შენობასთან, აშენებულ **1970**-იან წლებში – რომელიც თავისი უხეში კუბური ფორმით აგრესიულად ჯდება გარემო-ლანდშაფტში. შემდეგ ქუჩა მიემართება ბოტანიკური ბაღის საზღვრების და მდინარე წავკისის წყლის ხეობის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ. სწორედ მირზა-შაფის ქუჩა ესაზღვრება ჩვენ მიერ **საკვლევ ნაკვეთს,** სადაც იგეგმება მომავალი განაშენიანება. ქუჩის დონიდან ქვევით აბანოთ უბნის მიმართულებით ფერდობი ჩამოდის შედარებით თანაბარი დახრით და რომელიც დაფარულია ბუჩქნარით. ქუჩის მთელ სიგრძეზე, მხოლოდ კლდის მხარეს **2010** წლამდე გაშენებული იქნა რამდენიმე 1-3 სართულიანი სახლი. არაფრით გამორჩეული ეს საცხოვრებელი სახლები განლაგებულია ციცაბო რელიეფზე მეჩხერად მთის ჩრდილოეთი მხრიდან, რომელთა შორის იყო რამოდენიმე თავისუფალი ნაკვეთი. სადაც ჩამოჭრილი კლდე ქუჩამდე ჩამოდის.

ფოტო 2006 წ. აბანოთუბანი



უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში გაჩაღებული ახალი მშენებლობები ამ რაიონში და მთელს ქალაქში იმპულსურ და ქაოტურ მიმართულებას იღებს. პოლიტიკური შეხედულებების ხშირმა და მოკლე-ვადიანმა ცვლილებებმა მიგვიყვანეს სრულ შეუთანხმებლობამდე ახალ მშენებლობებში, არამარტო არქიტექტურულ–გეგმარებითი, არამედ ფუნქციონალური თვალსაზრისითაც. ნაგებობათა აბსურდული მასშტაბის

შეუსაბამობა ისტორიულ განაშენიანებასთან მძაფრდება მოცემული რაიონის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ნიშნების სრული იგნორირებით და უკიდურესად უტაქტო დამოკიდებულებით უკვე არსებულ გარემოსთან. შედეგად უბნის ყველა შენობაზე მოხდა ქაოტური არამაშტაბური დაშენებები. ასეთი მინაშენების გარდა გასული საუკუნის **90**-ნი წლების არეულ პერიოდში აბანოთ უბანში გაჩნდა ყველაზე დიდი არამაშტაბური სასტუმროს კომპლექსის შენობა, რომელიც გამოდის გორგასლის ქუჩაზე და ეკვრის «გრილი» აბანოს გუმბათებს *(პროექტის ავტორი – ო.ნახუცრიშვილი).*

უკანასკნელ წლებში ახალი, თანამედროვე, საცხოვრებელი განაშენიანების შექმნის მიზნით, მთლიანად იქნა აღებული მირზა შაფის ქუჩის ბოლოში არსებული განაშენიანება და მოიჭრა კლდოვანი გრუნტის ნაწილი.

ჩვენ მიერ საკვლევი ტერიტორიიდან იშლება თბილისის ერთ-ერთი შესანიშნავი პანორამა. მთის ძირას განლაგებულია თითქოს მიწიდან ამოსული აბანოების სფერული კამარები; ამ ადგილას მტკვრის ხეობა, მეტეხის კლდეებში მჭიდროდაა მომწყდეული, რომელსაც უერთდება მდინარე წავკისის (ლეღვის) წყლის ხეობა, რაც ქმნის თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზ მხატვრულ ნაწილს. ბუნება და საუკუნოვანი განაშენიანება შერწყმულია ერთმანეთთან და ერთობლიობაში ქმნიან ერთიან ისტორიულ ძეგლს. დასავლეთიდან იხსნება ნარიყალას ბასტიონების შესანიშნავი პანორამა, არაჩვეულებრივ ხედებს ქმნიან ძველი კალას შუასაუკუნების განაშენიანება თავისი გუმბათიანი ეკლესიებით. ასევე შესანიშნავი ვიზუალური აღქმა იქმნება მტკვრის ხეობიდან - ამაღლებული ავლაბარი, რომელიც ერწყმის მეტეხის კლდეებს და რომლის ლამის "ბუნებრივი" დაგვირგვინებაა მეტეხის ტაძარი.

ჩვენი საკვლევი ნაკვეთის უშუალო მეზობლობაში იმყოფება რამდენიმე შენობა, რომლებიც წარმოადგენენ ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლებს:



აბანოს ქუჩა 2 /იოსებ გრიშაშვილის ქუჩა 7 *(კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 010506145)* – «ერეკლეს» («ორბერლიანების») აბანო



აბანოს ქუჩა 20 /იოსებ გრიშაშვილის ქუჩა 1 *(კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 010503406)* - "მეითარის» აბანო



იოსებ გრიშაშვილის ქუჩა №7 *(კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის საღრიცხვო ბარათი № 010506177)* - "მეფის ასულის" აბანო



ვახტანგ გორგასლის ქუჩა №3 *(კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის საღრიცხვო ბარათი № 010503399)* - "გრილი" აბანო

მირზა საფის ქუჩა

ფოტო 2012 წ.



თბილისის ძველი გეგმებისა და რუქების მიხედვით, უშუალოდ საკვლევი ობიექტის მონაკვეთზე, არასოდეს არ ყოფილა რაიმე განაშენიანება. ისტორიულად ეს ნაწილი აღნიშნული იყო ყოველთვის როგორც ბაღები. თუმცა სავალდებულოა აღნიშნული იქნეს რამდენიმე ამ ნაკვეთის დამახასიათებელი ფაქტი:

1. ნეკვეთებს და ბაღებს, რომლებიც განლაგებული იყო აბანოთუბნის უშუალო სიახლოვეს, ქალაქის განვითარებისა და აყვავების ყვალობაზე ქონდათ განაშენიანების ტენდენცია;

2. უბანში (სადაც იმყოფება ჩვენი ნაკვეთი) თითქმის 1500-წლიანი ისტორიის მანძილზე, ყოველ წყაროზე შენდებოდა გუმბათიანი მოცულობები, რომლებიც ხანდახან ერთიანდებოდა და ქმნიდა ერთიან კომპლექსს (ან მოცულობას). ის ფაქტი, რომ ჩვენ საკვლევ ნაკვეთზე არ არის არანაირი

აბანოს შენობების კვალიც კი - მიუთითებს იმას, რომ ამ ადგილას არ არის თერმიული წყაროები, რაც დასტურდება უკანასკნელი წლების გეოლოგიური კვლევებითაც;

3. ის ფაქტი, რომ საკვლევი ნაკვეთი დღემდე არ არის განაშენიანებული, მიუთითებს იმას, რომ თუმცა იგი განლაგებულია ციცაბო ფერდობზე - გრუნტი კლდოვანი არაა (გეოლოგიური კვლევიდან გამომდინარე საამშენებლო დაღრმავება ზოგ მონაკვეთში 10-12 მეტრია), რაც ძველი საამშენებლო ტექნოლოგიების პირობებში აძნელებდა ან მონაკვეთის განაშენიანებას.


გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან, თანამედროვე საამშენებლო ტექნოლოგიების და კერძო ფინანსიური ინვესტიციების ფარგლებში არის შესაძლებლობა შედარებით თავისუფალი შემოქმედებითი მიდგომისა ახალი შენობის პროექტირებისას, რომელიც აქ უნდა აშენდეს. თუმცა გარშემო ტერიტორიის ისტორიული მნიშვნელობიდან გამომდინარე სავალდებულოა გათვალისწინებული იქნეს

შემდგომი **რეკომენდაციები** ახალი მშენებლობის პროექტირების დროს:

- გამოყენებული იქნეს რთული ტერასული რელიეფის შესაძლებლობლები – ორგანული ურბანული ჩარევის დროს;
- შიდა სივრცის გეგმარების დროს, გათვალისწინებული იქნეს «საპარადო» ფართობები ქალაქის უნიკალური პანორამის აღსაქმელად, თუმცა მშენებლობის დროს სასურველია არ დაიკარგოს ესთეტიკური უპირატესობა, რომელიც დამახასიათებელია "აბანოების" გარემოცვაში "ძველი" ქართული აგურის წყობის გამოყენებისას;
- პროექტირების დროს არ უნდა დაიკარგოს სპეციფიკური მასშტაბი გარშემო ტერიტორიის განაშენიანებისა. ამასთან სასურველია შენობა იყოს «გრძელი», «დრმა» და «განიერი», ვიდრე «მაღალი»;
- გათვალისწინებული იქნეს ისტორიული ტრადიცია გარშემომყოფი უბნების ტერასული *(«ბანიანი»)* სახურავის გადახურვისა;
- იმის გამო, რომ თანამედროვე მშენებლობაში აქტიურად იკიდებს ფეხს ახალი ტექნოლოგიები და აშკარაა «ჰაი–ტეკ»-ის სტილების გავლენა, ახალი მოცულობის პროექტირებისას სასურველია, გათვალისწინებულ იქნას სწორედ ეს ტენდენცია;
- საკვლევ ნაკვეთზე ახალი მოცულობების მშენებლობის დროს სავალდებულოა უზრუნველყოფილი იყოს საავტორო არქიტექტურული და საინჟინრო ზედამხედველობა, ხოლო არქეოლოგიური ზედამხედველობა საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება დაუფიქსირებელი ქალაქის ისტორიისათვის რაიმე მნიშვნელოვანი მატერიალური ფასეულობა.

არქიტექტორი - *ალა პროზოროვა*

2012. 04



იბლიოგრაფია და საარქივო მასალები (გამოყენებული ისტორიული რუკები და ფოტოები):

- ვახტანგ ბერიძე, "**თბილისის ხუროთმოძღვრება – 1801-1917 წლები"** *"საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1960წ.*
- თენგიზ კვირკველია, **"თბილისის არქიტექტურა",** *"საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1982წ.*
- **"თბილისი", ენციკლოპედია,** *«ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერ რედაქცია»,* თბილისი, 2002წ.
- **"Тифлис и его окресности. Путеводитель",** *«Церкумси»,* თბილისი, 1925 წ.
- "Кавказский календарь" - 1903 - 1914 წწ.

- თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი;
- საქართველოს ეროვნული მუზეუმი;
- საქართველოს ცენტრალური საისტორი არქივი;
- ცენტრალური თბილისის არქივი

ქ.თბილისი
მირზა შაფის ქუჩა №5-ში
მდებარე ნაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის
მხატვრულ-ისტორიული და არქიტექტურული კვლევა



დამკვეთი
"კაუკაზუს როუდ პროჯექტ"

შემსრულებელი
შ.პ.ს. "არქიტექტორები.ჯი"

თბილისი
2012

-

-